დანართი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს ახალი უმაღლესი სასწავლებლის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ[1]

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: სახელი, გვარი, აფილირებული უნივერსიტეტი/ორგანიზაცია, ქვეყანა

გიორგი მახარობლიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

წევრები:

სახელი, გვარი, აფილირებული უნივერსიტეტი/ორგანიზაცია, ქვეყანა

დიანა მჭედლიშვილი, შპს კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

თბილისი
2020

[1] **შენიშვნა:** მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი აფასებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობას რელევანტურ სტანდარტთან/სტანდარტებთან და/ან სტანდარტის კომპონენტთან/კომპონენტებთან

ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

სახელწოდება	შპს ახალი უმაღლესი სასწავლებელი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახე	კოლეჯი
საიდენტიფიკაციო კოდი	
ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	ჭყონდიდელის ქ. N26, თბილისი, საქართველო
ვებ-გვერდი	www.newuni.edu.ge
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	ავტორიზებული
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	2019 წლის 27 სექტემბერი N15
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	2025 წლის 27 სექტემბერი

მოკლედ აღწერეთ ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის ვიზიტი

<table>
<tr><td colspan="2">აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი:

2019 წლის 11 დეკემბრის მონიტორინგის ვიზიტის შედეგად გაცემული რამდენიმე რეკომენდაციის ინსტიტუციის მიერ შესრულების შეფასების მიზნით, ცენტრის დირექტორის 2020 წლის 21 მაისის, №398745 ბრძანების საფუძველზე შექმნილმა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ინსტიტუციის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტები და შეაფასა ინსტიტუციის მიერ განხორციელებული ნაბიჯები და მათი შედეგები იმ რეკომენდაციებზე, რომელიც ინსტიტუციაში წინა მონიტორინგის ვიზიტის შედეგად იქნა გაცემული. შეფასება განხორციელდა მხოლოდ დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე შესაბამისად, არსებითი ნაწილი ავტორიზაციის სხვა სტანდარტებისა თუ ქვესტანდარტებისა, რაოდენობრივი თუ აკადემიური მონაცემები და სხვა ასპექტების შემოწმება, ბუნებრივია, არ განხორციელებულა.

მონიტორინგის ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე, შეფასდა ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ავტორიზაციის 2.1, 2.2 და 3.3 სტანდარტის კომპონენტებთან მიმართებით.</td></tr>
<tr><td colspan="2">მონიშნეთ რას უკავშირდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინა შეფასება, რომლის ფარგლებშიც გაიცა რეკომენდაციები:

☐ ავტორიზაციის მოპოვების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☐ სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☐ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☒ შეფასება ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში
შეფასების განხორციელების თარიღი: 11.12.2019</td></tr>
<tr><td>უსდ-სათვის ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები (მიუთითეთ სტანდარტი/სტანდარტის კომპონენტი და შესაბამისი რეკომენდაცია):</td><td>აღწერეთ რამდენად იქნა გათვალისწინებული უსდ-ს მიერ წინა შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და რჩება თუ არა გასაუმჯობესებელი მხარეები სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით:</td></tr>
<tr><td>2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

• რეკომენდებულია, საგამოცდო ნაშრომების შენახვის ვადა განისაზღვროს საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №72 ბრძანების შესაბამისად.</td><td>შპს ახალი უმაღლესი სასწავლებლის რეკომენდაცია მიერ სრულად შესრულებულია.

აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებულ იქნა, რის საფუძველზეც ცვლილება შევიდა „საქმისწარმოების ერთიან წესში“, კერძოდ, მისი მე-15 მუხლის მეოთხე პუნქტი წერილობითი საგამოცდო ნაშრომის შენახვის ვადად განისაზღვრა 3 წელი - შენახვის ვადის ათვლა იწყება შეფასების გასაჩივრების პერიოდის გასვლის შემდგომ.</td></tr>
<tr><td>2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა</td><td>შპს ახალი უმაღლესი სასწავლებლის მიერ რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია.</td></tr>
</table>

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები • სასურველია, რომ უმაღლეს სასწავლებელში უცხოენოვანი სტუდენტის ქართულ ენაში მომზადების პროგრამა არსებობდეს იმ პროცედურებთან ერთად, რომელიც ქართული ენის არცოდნის შემთხვევაში სტუდენტის სამომავლო ქცევის მიმართულებას განსაზღვრავდა და ეს არ იყოს ადმინისტრაციის მხრიდან „რეკომენდაციაზე" დამოკიდებული, რომელიც, თავისი შინაარსიით, მკაფიოდ განსაზღვრულ კრიტერიუმებს არ მოიცავს.	უსდ-ის მიერ წარდგენილ ანგარიშში გაცხადებულია, რომ კოლეჯში ამ ეტაპზე არ ირიცხება არაქართულენოვანი, უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტი, რის გამოც ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება არ იგეგმება. მიუხედავად ამისა, მიზანშეწონილია დაწესებულებას ჰქონდეს შემუშავებული უცხო ქვეყნის მოქალაქე პოტენციურ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები, რომლებიც ითვალისწინებს ქართული ენის ცოდნის გაღრმავების ხელშემწყობ მკაფიოდ განსაზღვრულ პროცედურებს. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-3 მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, კოლეჯში ქართულენოვან პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი უცხო ქვეყნის მოქალაქე ვალდებულია ქართული ენის ცოდნის დადგენის მიზნით, უსდ-ში გაიაროს გასაუბრება და წარმოადგინოს ქართული ენის ცოდნის დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი (გაცემული სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილი ორგანოს მიერ). ამასთან, გასაუბრების ვიდეოჩანაწერის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია სასწავლებლის მიერ. იმისათვის, რომ უფრო ნათელი და მკაფიო იყოს, თუ რა მოთხოვნებია წაყენებული უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის, მიზანშეწონილია პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობებში დაკონკრეტდეს, ქართული ენის ცოდნის დონე და რომელი სერტიფიკატები იქნება აღიარებული. შენიშვნა: უსდ-ის მიერ რეკომენდაციის შესრულებულის სრულყოფილად შესაფასებლად, დაწესებულებამ დამატებით წარმოადგინა: 1. უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები; 2. საგანმანათლებლო პროგრამის ნიმუში, სადაც გაწერილია პროგრამაზე უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტების მიღების წინაპირობები. აღსანიშნავია, რომ შპს ახალ უმაღლეს სასწავლებელში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაზის მიხედვით, ამჟამად ფიქსირდება ორი აქტიური სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტი. დაწესებულებაში განხორციელებული წინა მონიტორიგნის ფარგლებში, ორივე პირის შემთხვევაში დადასტურდა ქართული ენის ცოდნა.
3. საგანმანათლებლო პროგრამები **3.3 სწავლის შედეგების შეფასება**	შპს ახალი უმაღლესი სასწავლებლის მიერ რეკომენდაცია მეტწილად შესრულებულია.

• სასურველია, რომ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი დაიხვეწოს და მორგებულ იქნეს ინდივიდუალურად პროგრამის სწავლის შედეგებს, რაც შესაძლებლობას მისცემს დაწესებულებას ადეკვატურად შეაფასოს და აკონტროლოს სწავლის შედეგების მიღწევის მაჩვენებელი.	პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი სასწავლებელს განახლებული და დახვეწილი აქვს, სადაც განსაზღვრულია როგორც პირდაპირი შეფასების მექანიზმები, ისე არაპირდაპირი შეფასების მექანიზმები. ამასთან, წარმოდგენილია სამი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის - საერთაშორისო ურთიერთობების, ბიზნესის ადმინისტრირებისა და ტურიზმის კურიკულუმის რუკა, სადაც გაწერილია სასწავლო კურსების მიმართებები პროგრამის სწავლის შედეგებთან. ასევე, წარმოდგენილია სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების სქემა, რომელიც მოიცავს გეგმას, პერიოდულობასა და სამიზნე ნიშნულებს. მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ რეკომენდაციის შესრულების ფაზა PDCA ციკლის მეორე ეტაპზეა, იგი სრულ შესაბამისობაში, ბუნებრივია, ვერ იქნება. შესაბამისად, აღნიშნულ ნაწილში წარმოდგენილი რეკომენდაცია, კოლეჯის მიერ მოწოდებული ანგარიშისა და დოკუმენტების საფუძველზე, დაწესებულების მიერ შემუშავებული სწავლის შედეგებზე დაკვირვების გეგმის განხორციელების პერიოდის გათვლისწინებით, შესრულებულია მეტწილად.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

რეკომენდაციები

1. მიზანშეწონილია, დაწესებულებას ჰქონდეს შემუშავებული უცხო ქვეყნის მოქალაქე პოტენციურ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები, რომლებიც ითვალისწინებს ქართული ენის ცოდნის გაღრმავების ხელშემწყობ მკაფიოდ განსაზღვრულ პროცედურებს.
2. იმისათვის, რომ უფრო ნათელი და მკაფიო იყოს, თუ რა მოთხოვნებია წაყენებული უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის, მიზანშეწონილია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში დაკონკრეტდეს, ქართული ენის ცოდნის დონე და რომელი სერტიფიკატები იქნება აღიარებული.
3. რეკომენდებულია, დასრულდეს PDCA ციკლი სრულად, რისთვისაც დაწესებულებამ უნდა მოახდინოს საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.

რჩევები

საუკეთესო პრაქტიკა

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება		☐	☐	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☐	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☐	☐	☐	☐
2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა		☐	☐	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☒	☐	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☐	☐	☒	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☐	☐	☐	☐
3. საგანმანათლებლო პროგრამები		☐	☐	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☐	☐	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	☐	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☐	☒	☐	☐
4. უსდ-ის პერსონალი		☐	☐	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☐	☐	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☐	☐	☐	☐
5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები		☐	☐	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☐	☐	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☐	☐	☐
6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა		☐	☐	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☐	☐	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	☐	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☐	☐	☐	☐
7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები		☐	☐	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☐	☐	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☐	☐	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☐	☐	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☐	☐	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. გიორგი მახარობლიშვილი (თავმჯდომარე)

2. დიანა მჭედლიშვილი (წევრი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
○ უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. ○ უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.
აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი: 2019 წლის 11 დეკემბრის მონიტორინგის ვიზიტის შედეგად გაცემული რამდენიმე რეკომენდაციის შესრულების მიზნით განხორციელებული მონიტორინგი შეეხო სტუდენტთა შეფასების სისტემას და მათი შედეგების შესახებ უკუგების პროცესს, ასევე, გასაჩივრების მექანიზმებს. შედეგების გასაჩივრების მექანიზმი უსდ-ს არ ჰქონდა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის, №72 ბრძანების შესაბამისად განსაზღრული. წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის შედეგად, უსდ-ის მიერ აღნიშნული ბრძანების შესაბამისად, ცვლილება შევიდა „საქმისწარმოების ერთიან წესში“, კერძოდ, მისი მე-15 მუხლის მეოთხე პუნქტი წერილობითი საგამოცდო ნაშრომის შენახვის ვადად განისაზღვრა 3 წელი - შენახვის ვადის ათვლა იწყება შეფასების გასაჩივრების პერიოდის გასვლის შემდგომ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • უსდ-ის მიერ წარმოდგენილი ანგარიში; • საქმის წარმოების ერთიანი წესი.
რეკომენდაციები:
რჩევები:
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
- უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

მიმდინარე ქვესტანდარტის პირველადი მონიტორინგის ფარგლებში გაცემულ იქნა შემდეგი რეკომენდაცია: „სასურველია, რომ უმაღლეს სასწავლებელში უცხოენოვანი სტუდენტის ქართულ ენაში მომზადების პროგრამა არსებობდეს იმ პროცედურებთან ერთად, რომელიც ქართული ენის არცოდნის შემთხვევაში სტუდენტის სამომავლო ქცევის მიმართულებას განსაზღვრავდა და ეს არ იყოს ადმინისტრაციის მხრიდან „რეკომენდაციაზე" დამოკიდებული, რომელიც, თავისი შინაარსიით, მკაფიოდ განსაზღვრულ კრიტერიუმებს არ მოიცავს." მოცემული რეკომენდაციის მიზანი იყო, უცხოენოვანი სტუდენტის არსებობის შემთხვევაში, უსდ-ს ჰქონოდა ქართული ენის ცოდნის გაუმჯობესების მექანიზები, მაგალითად, ქართულ ენაში მომზადების პროგრამა. ბუნებრივია, თავად პროგრამა სავალდებულო ხასიათის ვერ იქნება ნებისმიერი უსდ-თვის, თუ მის სტრატეგიულ ხედვაში უცხოენოვანი სტუდენტების მიღება არ მოიაზრება. მიუხედავად ამისა, დაწესებულებას უნდა ჰქონდეს შემუშავებული უცხო ქვეყნის მოქალაქე პოტენციურ სტუდენტთა მიერ ქართული ენის სრულფასოვნად დაუფლების მხარდაჭერის მექანიზმები. წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულება არ არის მზად უცხოენოვანი სტუდენტების მისაღებად და მათთვის ქართული ენის ცოდნის დონის ამაღლების უზრუნველსაყოფად.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი „საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების მიხედვით, უცხო ქვეყნის მოქალაქე ვალდებულია ქართული ენის ცოდნის დადგენის მიზნით, გაიაროს გასაუბრება და წარმოადგინოს ქართული ენის ცოდნის დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი (გაცემული სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილი ორგანოს მიერ). აღნიშნული ჩანაწერი არ აკონკრეტებს, თუ ქართული ენის ცოდნის რომელი დონე მოითხოვება ან რომელი სერტიფიკატები იქნება აღიარებული. იმისათვის, რომ უფრო ნათელი და მკაფიო იყოს, თუ რა მოთხოვნებია წაყენებული უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის, მიზანშეწონილია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში დაკონკრეტდეს, ქართული ენის ცოდნის დონე და რომელი სერტიფიკატები იქნება აღიარებული. აღნიშნული ჩანაწერი უზრუნველყოფს პროგრამის შეუფერხებლად დაძლევისათვის საჭირო უნარების გამჭვირვალობას ენობრივი კომპეტენციის კუთხით, რაც მისცემს საშუალებას პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს წინასწარ განსაზღვრონ საკუთარი მზაობა.

აღსანიშნავია, რომ შპს ახალ უმაღლეს სასწავლებელში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაზის მიხედვით, ამჟამად ფიქსირდება ორი აქტიური სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტი. დაწესებულებაში განხორციელებული მონიტორიგნის ფარგლებში, ორივე პირის შემთხვევაში დადასტურდა ქართული ენის ცოდნა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- უსდ-ის მიერ წარმოდგენილი ანგარიში;
- უსდ-ს მიერ წარმოდგენილი „საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო პროგრამა.

რეკომენდაციები:

1. მიზანშეწონილია, დაწესებულებას ჰქონდეს შემუშავებული უცხო ქვეყნის მოქალაქე პოტენციურ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები, რომლებიც ითვალისწინებს ქართული ენის ცოდნის გაღრმავების

ხელშემწყობ მკაფიოდ განსაზღვრულ პროცედურებს.

2. იმისათვის, რომ უფრო ნათელი და მკაფიო იყოს, თუ რა მოთხოვნებია წაყენებული უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის, მიზანშეწონილია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში დაკონკრეტდეს, ქართული ენის ცოდნის დონე და რომელი სერტიფიკატები იქნება აღიარებული.

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

მოცემული სტანდარტის მიხედვით პირველადი მონიტორინგის ფარგლებში შემოწმებულ იქნა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები და პროცედურები, რის შედეგადაც გაიცა შემდეგი ტიპის რეკომენდაცია: „სასურველია, რომ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი დაიხვეწოს და მორგებულ იქნეს ინდივიდუალურად პროგრამის სწავლის შედეგებს, რაც შესაძლებლობას მისცემს დაწესებულებას ადეკვატურად შეაფასოს და აკონტროლოს სწავლის შედეგების მიღწევის მაჩვენებელი.“

უსდ-ის მიერ წარმოდენილ იქნა განახლებული სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, კურიკულუმის რუკა და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა შესაბამისი სამიზნე ნიშნულებით. შედეგად, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი სასწავლებელს განახლებული და დახვეწილი აქვს, სადაც განსაზღვრულია როგორც პირდაპირი შეფასების მექანიზმები, ისე არაპირდაპირი შეფასების მექანიზმები. ამასთან, აღსანიშნავია, რომ პროგრამის სწავლის შედეგების მექანიზმი განსაზღვრულია არსებულ ყველა საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ. გარდა ამისა, გაწერილია სწავლის შედეგებზე დაკვირვების გეგმა და გრაფიკი, რომლის თანახმად, სწავლის შედეგების მიღწევის პირველადი შეფასება მოსალოდნელია 2020-2021 ს.წ.-ს. მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ რეკომენდაციის შესრულების ფაზა PDCA ციკლის მეორე ეტაპზეა, ის

სრულ შესაბამისობაში, ბუნებრივია, ვერ იქნება. შესაბამისად, აღნიშნულ ნაწილში წარმოდგენილი რეკომენდაცია, კოლეჯის მიერ მოწოდებული ანგარიშისა და დოკუმენტების საფუძველზე, დაწესებულების მიერ შემუშავებული სწავლის შედეგებზე დაკვირვების გეგმის განხორციელების პერიოდის გათვლისწინებით, შესრულებულია მეტწილად. რეკომენდაციის სრულად შესრულების მიზნებისათვის, აუცილებელია დასრულდეს PDCA ციკლი სრულად, რისთვისაც დაწესებულებამ უნდა მოახდინოს საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • უსდ-ის მიერ წარმოდგენილი ანგარიში; • კურიკულუმის რუკა; • პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა; • სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი.
რეკომენდაციები: 1. რეკომენდებულია, დასრულდეს PDCA ციკლი სრულად, რისთვისაც დაწესებულებამ უნდა მოახდინოს საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.
რჩევები:
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან